პროექტი

განკარგულება N

ქ. ოზურგეთი
2022წ-------- მაისი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების მართვის ცენტრი“-ს (ს/კ.437372745) ლიკვიდაციის მიზანშეწონილობაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 106[1] მუხლის მე-4 ნაწილის, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს 38-ე მუხლის და „საწარმოს დაშლის წესის დამტკიცების თაობაზე, რომლის აქციების ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს/ფლობენ მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 18 იანვრის N20 დადგენილების თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების მართვის ცენტრის (ს/კ.437372745) ლიკვიდაციის მიზანშეწონილობაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა.

მუხლი 2. განკარგულება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

განმარტებითი ბარათი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების მართვის ცენტრი“-ს (ს/კ.437372745) ლიკვიდაციის მიზანშეწონილობაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე

1. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფისათვის განსახორციელებელი საქმიანობების ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, მართებულია შესრულდეს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სამეწარმეო სუბიექტის მიერ. ამ მიმართულებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დაფუძნებული ჰყავს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ოზურგეთის მუნიციპალური ტრანსპორტი“, რომელიც შექმნილია მოგების მიღების მიზნით და ეწევა სამეწარმეო საქმინაობას ორგანიზებულად და დამოუკიდებლად.

ა.ი.პ. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების მართვის ცენტრი“-ს ლიკვიდაციის დაწყებისას პარალელურად განხორციელდება შიდა ორგანიზაციული ცვლილებები შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ოზურგეთის მუნიციპალური ტრანსპორტში“, კერძოდ ცვლილებები განხორციელდება დამტკიცებულ წესდებაში საზოგადოების უფლებამოსილებას დაემატება: ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების სფეროს მართვა; ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების მართვის ორგანიზება, კონტროლი და ადმინისტრირება; გ) ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილი პარკინგის ტერიტორიის განვითარება; დ) პარკირების ინდივიდუალური ადგილით სარგებლობისათვის დადგენილი საფასურის ამოღება, აღრიცხვა და მონიტორინგი; ე) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის შესრულება და დაცვა; ვ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების წესების დარღვევისათვის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-ს შესაბამისად დამრღვევი პირის მიმართ საჯარიმო სანქციების განხორცილება და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა. ასევე შეიცვლება საზოგადოების სახელწოდება.

2. პროექტი შეიცავს პრეამბულას და მასში გადმოცემულია ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დანიშნულება.

3. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

ა) პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

4. პროექტის წარმდგენი და ავტორი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი.

5. პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2022 წლის ----------.